ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2271409

ნომერი: AR1347879

თარიღი : 08.10.2015

გაცემის თარიღი : 30.10.2015

გაცნობის თარიღი : 30.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე ქავთარაძის ქუჩა N1ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ესართია პ/ნ 19001011652
- თბილისი მ.ჩახავას ქ. N 2 ბ. 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/08/2013 წლის #872207 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

08/10/2015 წლის # AR1347879 განცხადებით მომართა სოფიო ესართიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30/08/2013 წლის #872207 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30/08/2013 წლის #872207 ბრძანებით ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგისა და ს. ქავთარაძის ქუჩების შესაყართან, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარედ, (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.03.038.010) შეთანხმდა შერეული ფუნქციის მქონე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 აგვისტოდან 2014 წლის 30 თებერვლის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს 30/08/2013 წლის #872207 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, ამავე ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას შესწორებული გეგმებით.
განმცხადებლის მიერ, 08/10/2015 წლის # AR1347879 განცხადებით გადმოგზავნილ იქნა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები, იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან განმცხადებლის მიერ 08/10/2015 წლის # AR1347879 განცხადებით გადმოგზავნილია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები, იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გეგმების ჩანაცვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/08/2013 წლის #872207 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 08/10/2015 წლის #AR1347879 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/08/2013 წლის #872207 ბრძანებასთან ერთად.
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.